კანონშედეგლობით დადგენილი წესით გაცნობიდან ერთ
თვის ვადაში.

ბათუმის მუნიციპალიტეტის
კრებულოს წარმომადგენელი
კომისიის თავჯდომარე) ლევან კინწურაშვილი

ბათუმის მუნიციპალიტეტის
კრებულოს წარმომადგენელი
კომისიის თავჯდომარის მოადგილე) თეიმურაზ ბასილაძე

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
ფინანსთა დაცვისა და ბუნებრივი რესურსების
მართველოს წარმომადგენელი
კომისიის მდივანი) ანზორ თაფლაძე

ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის
წარმომადგენელი (კომისიის წევრი) მირიან მეტრეველი

ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის
წარმომადგენელი (კომისიის წევრი) რესან ქიქავა

ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის
წარმომადგენელი (კომისიის წევრი) დავით იაკობაძე

საქართველოს ეკონომიკისა და
მდგრადი განვითარების სამინისტროსა
და სსიპ „სახელმწიფო ქონების ეროვნული
სააგენტოს" წარმომადგენელი (კომისიის წევრი) ნუგზარ ანანიძე

ასლის
დამოწმებულია

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მიერ თვითნებურად დაკავებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების უფლებამოსილების განმახორციელებელი მუდმივმოქმედი კომისია

ქ. ბათუმი
[illegible] საათზე

ოქმი № 12

27 ივნისი, 2016 წელი
დასრულდა 12:30 საათზე

[illegible]ის სხდომას
[illegible]ვანელობდა: ლევან კინწურაშვილი - ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წარმომადგენელი (კომისიის თავჯდომარე)

[illegible]ებოდნენ:

[illegible]ურაზ ბასილაძე - ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წარმომადგენელი (კომისიის თავჯდომარის მოადგილე)

[illegible]ან მეტრეველი - ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის წარმომადგენელი (კომისიის წევრი)

რესან ქიქავა - ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის წარმომადგენელი (კომისიის წევრი)

ანზორ თაფლაძე – აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოს წარმომადგენელი (კომისიის მდივანი)

ნუგზარ ანანიძე - საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსა და სსიპ „სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს" წარმომადგენელი (კომისიის წევრი)

დავით იაკობაძე – ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის წარმომადგენელი (კომისიის წევრი)

დღის წესრიგი:

ქ. ბათუმში, გონიოს ყოფილი ძეურნეობის ტერიტორიაზე ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საკუთრების უფლების აღიარების კომისიის მიერ 2010 წლის 03 დეკემბრის №39 საოქმო გადაწყვეტილებით 271 მოქალაქის სასარგებლოდ გამოცემული აღმჭურველი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის

[illegible] ცნობის თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების შესახებ დაწყებული [illegible]ისტრაციული წარმოების საკითხის განხილვა.

[illegible]ილეს: ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საკუთრების უფლების აღიარების კომისიამ 2007-2010 წლებში მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული მიწის ნაკვეთები საკუთრების უფლებით გადასცა პირებს, რომლებიც აღნიშნავდნენ, რომ წარმოადგენდნენ მიწის ნაკვეთების მართლზომიერ მფლობელებსა და თვითნებურად დამკავებელ პირებს. სხვა ტერიტორიებთან ერთად აღიარებულ (საკუთრებაში გადაცემულ) მიწის ნაკვეთებს შორის აღმოჩნდა გონიოს ყოფილი მეურნეობის ტერიტორიაზე მდებარე მიწის ნაკვეთები, რომელთა უმრავლესობაც გადაეცა იმ პირებს,რომლებიც წარმოადგენდნენ გონიოში მცხოვრებ პირებს. აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ როგორც შემდგომში გაირკვა საკუთრების უფლება მიწის ნაკვეთებზე ასევე უღიარდათ იმ პირებსაც, რომლებიც არ წარმოადგენდნენ გონიოს მკვიდრ მოსახლეობას, თუმცა მათივე განმარტებით წარმოადგენდნენ გონიოს ყოფილი მეურნეობის ტერიტორიაზე მდებარე მიწის ნაკვეთების მოსარგებლეებს. აღიარების კომისიის მიერ გაცემული საკუთრების უფლების დამადასტურებელი მოწმობების საფუძველზე ზემოხსენებული პირები საჯარო რეესტრში დარეგისტრირდნენ მიწის ნაკვეთების მესაკუთრეებად.

მოგვიანებით, საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს 2010 წლის 8 ნოემბრის №8-1/931 მიმართვის გათვალისწინებით ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საკუთრების უფლების აღიარების კომისიამ 2010 წლის 09 ნოემბრის №36 საოქმო გადაწყვეტილებით დაიწყო ადმინისტრაციული წარმოება გონიოს თემში მცხოვრები 271 მოქალაქისათვის გაცემული საკუთრების უფლების დამადასტურებელი მოწმობების კანონიერების შესწავლის მიზნით. ადმინისტრაციული წარმოების ჩატარების შედეგად 2010 წლის 03 დეკემბრის №39 საოქმო გადაწყვეტილებით 271 მოქალაქის სასარგებლოდ გამოცემული აღმჭურველი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საკუთრების უფლების აღიარების კომისიამ ცნო გათილად. მოქალაქეთა ნაწილმა, მიმართა სასამართლოს, და შეეცადა სასამართლოს დავების შედეგად საკუთრების აღდგენას, თუმცა სასამართლოს გადაწყვეტილებებით ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საკუთრების უფლების აღიარების კომისიის 2010 წლის 03 დეკემბრის №39 საოქმო გადაწყვეტილება ცალკეული მოქალაქეების ნაწილში ძალაში იქნა დატოვებული. შესაბამისად კომისია არაა უფლებამოსილი მიიღოს რაიმე სახის გადაწყვეტილება იმ მოქალაქეთა ნაწილში, რომელზეც არსებობს

სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებები.

დაინტერესებულ პირებს, ვინც თავის დროზე წარმოადგენდნენ მიწის ნაკვეთის მართლზომიერ მფლობელებს (მოსარგებლეებს) და ვისაც გააუქმდათ საკუთრების უფლების დამადასტურებელი მოწმობები, მათი საკუთრების უფლების რეგისტრაციისათვის უნდა მიმართონ სსიპ „საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს" და მოითხოვონ რეგისტრაცია საკუთრების უფლების დამდგენი დოკუმენტაციის წარდგენის საფუძველზე.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2014 წლის 17 აპრილის №62 განკარგულებით „გონიოს ყოფილი მეურნეობის ტერიტორიაზე სახელმწიფოს, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის და ადგილობრივი თვითმმართველობის საკუთრებაში არსებული სადავო მიწის ნაკვეთების შემსწავლელი შერეული სამთავრობო კომისიის შექმნის შესახებ" შეიქმნა გონიოს ყოფილი მეურნეობის ტერიტორიაზე (დღეის მდგომარეობით უკვე სახელმწიფოს, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის და ადგილობრივი თვითმმართველობის საკუთრებაში არსებული) სადავო მიწის ნაკვეთების შემსწავლელი შერეული სამთავრობო კომისია.

შერეული სამთავრობო კომისიის შემადგენლობაში შევიდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის აპარატის, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს, სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციების,სსიპ ,,აჭარის კულტურული მემკვიდრეობის სააგენტოს", ბათუმისა და ხელვაჩაურის საკრებულოს და გონიოს მკვიდრი მოსახლეობის წარმომადგენლები.

ზემოხსენებული განკარგულებით კომისიას დაევალა გონიოს ყოფილი მეურნეობის ტერიტორიაზე სახელმწიფოს, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის და ადგილობრივი თვითმმართველობის საკუთრებაში არსებული სადავო მიწის ნაკვეთების სამართლებრივი რეჟიმისა და აღნიშნულ მიწის ნაკვეთებთან დაკავშირებით მოქალაქეთა მოთხოვნების შესწავლა და შემდგომი ღონისძიებების გატარების მიზნით შესაბამისი წინადადებებისა და რეკომენდაციების მომზადება.

ზემოსხენებული კომისიის მიერ 01.09.2014 წლის #8 ოქმით, დამტკიცებულ იქნა სარეკომენდაციო სახის დასკვნა.

სარეკომენდაციო დასკვნის მიღების შემდეგ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მიერ თვითნებურად დაკავებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების უფლებამოსილების განმახორციელებელი მუდმივმოქმედი კომისიის მიერ 2014 წლის 17 ნოემბრის #12 საოქმო

ასლი სწორია
დამოწმებულია

გადაწყვეტილებით დაწყებული იქნა ადმინისტრაციული წარმოება გონიოს ყოფილი მეურნეობის ტერიტორიაზე ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საკუთრების უფლების აღიარების კომისიის მიერ ადმინისტრაციული წარმოების ჩატარების შედეგად 2010 წლის 03 დეკემბრის №39 საოქმო გადაწყვეტილებით 271 მოქალაქის სასარგებლოდ გამოცემული აღმჭურველი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გათილად ცნობის თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების კანონიერების საკითხის შესწავლის მიზნით.

ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შემდეგ კომისიის მიერ გამოთხოვილი იქნა ინფორმაცია და მასალები ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიიდან, გაიგზავნა წერილები საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოსა და სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოში.

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საკუთრების უფლების აღიარების კომისიის 2010 წლის 3 დეკემბრის №39 საოქმო გადაწყვეტილებაში ასახულია გონიოს ყოფილი მეურნეობის ტერიტორიაზე მდებარე მიწის ნაკვეთებიზე საკუთრების უფლების მოწმობების გაუქმების 3 ძირითადი მიზეზი:

1. საკუთრების უფლების მოწმობების გაცემისას ანუ აღნიშნული მოწმობების საფუძვლით საკუთრება აღიარებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების აღიარებისას დაცული არ ყოფილა „კულტურული მემკვიდრეობის დაცვის შესახებ" საქართველოს კანონის 32-ე მუხლის პირველი პუნქტი, რომლის შესაბამისად სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ძეგლის, კულტურული ფასეულობის, არქეოლოგიური დაცვის ზონაში სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთების გასხვისება, ფლობისა და სარგებლობის უფლებით გადაცემა ხორციელდება საქართველოს კულტურის სამინისტროსთან შეთანხმებით, მის მიერ წინასწარ განსაზღვრული მათი მოვლა პატრონობის პირობით, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

2. მიწის ნაკვეთების განკარგვისას მხედველობაში არ იქნა მიღებული მუნიციპალიტეტის ტერიტორიის სივრცით ტერიტორიული დაგეგმვის პირობები, ტერიტორიის ურბანული განვითარების პრინციპები, სანაპირო ზოლის განვითარების სწორი და ერთიანი ქალაქგეგმარების პოლიტიკა, დასახლებების სივრცით ტერიტორიული დაგეგმვის პირობები და სხვა - რასაც ითვალისწინებს „ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების შესახებ" - საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტი („თვითნებურად დაკავებულ მიწაზე საკუთრების უფლების აღიარების შესახებ

მოთხოვნის განხილვისასგათვალისწინებულ უნდა იქნეს მოთხოვნის შესაბამისობა სივრცით-ტერიტორიულ დაგეგმვის პირობებთან და მიწის განკარგვის სტრატეგიულ გეგმასთან");

3. ადმინისტრაციული წარმოების მიმდინარეობისას კომისიის მიერ გათვალისწინებულ იქნა კომისიის მიერ საკუთრების მოწმობების გაცემის დროს არსებული კანონმდებლობა, კერძოდ:

,,ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების აღიარების შესახებ" საქართველოს კანონი და ,,ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების აღიარების წესი" (დამტკიცებული საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 15 სექტემბრის №525 ბრძანებულებით). ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საკუთრების უფლების აღიარების კომისიის 2010 წლის 3 დეკემბრის №39 საოქმო გადაწყვეტილების შესაბამისად, კომისიის მოსაზრებით სადავო საკუთრების უფლების მოწმობათა საქმისწარმოების დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად გამოვლინდა, რომ მოქალაქეთა უმეტესი ნაწილის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტები არ აკმაყოფილებდნენ ზემოაღნიშნული მუხლებით დადგენილ მოთხოვნებს და არ დასტურდებოდა მიწის ნაკვეთების მართლზომიერი მფლობელობის, სარგებლობის და თვითნებურად დაკავების ფაქტი.

აღიარების კომისიის განმარტებით ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საკუთრების უფლების აღიარების კომისიის 2010 წლის 3 დეკემბრის №39 საოქმო გადაწყვეტილებaSi დასახელებულ პირებზე გაცემული საკუთრების უფლების მოწმობები ანუ კონკრეტულ მიწის ნაკვეთებზე მათ მიმართ აღიარებული საკუთრების უფლებანი და შესაბამისად მათ მიერ აღიარებული მიწის ნაკვეთები ,,ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების აღიარების წესი"-ს მე-3 მუხლის შესაბამისად არ ექვემდებარებოდნენ საკუთრების უფლებით აღიარებას და დაუშვებელი იყო მათი კერძო საკუთრებაში გადაცემა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე ხელვაჩაურის მიწის აღიარების კომისიამ მასთან დაცული საკუთრების უფლების აღიარების საარქივო მასალების, საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს 2010 წლის 8 ნოემბრის №8-1/931 წერილის, ,,გონიო-აფსაროსის არქიტექტურულ-არქეოლოგიური კომპლექსის არქეოლოგიური ზონისა და დაბა საყდრისში, სამთამადნო მრეწველობის ძეგლის არქეოლოგიური ზონის დადგენის შესახებ" საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და

ასლის
დამოწმებულია

სპორტის მინისტრისა და საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2006 წლის 17 ივლისის №3/225№1-1/616 ერთობლივი ბრძანების მხედველობაში მიღებით და სხვა მტკიცებულებების შესწავლის საფუძველზე უშუალოდ განიხილა ზემოთაღნიშნულ მოქალაქეებზე გაცემული საკუთრების უფლების მოწმობების გაცემის კანონიერების საკითხები და 271 მოქალაქის სასარგებლოდ გამოცემული აღმჭურველი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ცნო ბათილად.

2014 წლის 22 დეკემბრის საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოდან კომისიამ მიიღო წერილობითი პასუხი, რომლიდანაც ირკვევა, რომ მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, კულტურული მემკვიდრეობის დაცვის არეალში არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარება არ არის შეზღუდული, ხოლო იმისათვის, რომ თავიდან იქნეს აცილებული აღიარებულ საკუთრების მართვასთან და განკარგვასთან დაკავშირებული შემდგომი გართულებები აუცილებელია , ადმინისტრაციული ორგანოს მიერ უზრუნველყოფილი იქნეს საკუთრების უფლების აღიარებით დაინტერესებული პირის ინფორმირება შეზღუდვების შესახებ და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო თავისი კომპეტენციის ფარგლებში არ არის წინააღმდეგი მოხდეს ეროვნული მნიშვნელობის ძეგლის გონიოს ინდივიდუალური და არქეოლოგიური დაცვის ზონებში არსებულ უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლების აღიარება (აღდგენა).

დღეის მდგომარეობით უკვე სახელმწიფოს, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის და ადგილობრივი თვითმმართველობის საკუთრებაში არსებული სადაო მიწის ნაკვეთები, რომლებზეც მოქალაქეები ითხოვენ საკუთრების უფლების მოწმობების აღდგენას არის სახელმწიფო სხვადასხვა სტრუქტურების დაქვემდებარებაში კერძოდ, ნაწილი არის:

1. სახელმწიფოს საკუთრებაში და იმავდროულად წარმოადგენენ კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის ფიზიკური დაცვის არეალში მდებარე მიწის ნაკვეთებს; აქვეა აღსანიშნი, რომ ამავე კატეგორიაში შედის თავად კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი, რომელიც უზუფრუქტის წესით გადაცემულია საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოსათვის. შესაბამისად, მიწაც განეკუთვნება კულტურული მემკვიდრეობის კატეგორიას და არის აჭარის ა/რ რესპუბლიკის ქონება;
2. სახელმწიფო საკუთრებაში და მდებარეობენ კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის ვიზუალური დაცვის არეალში მდებარე მიწის ნაკვეთებს.

ასლის
დამოწმება

3. სახელმწიფო საკუთრებაში, მაგრამ არ მდებარეობენ არც კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის ვიზუალური და არც ფიზიკური დაცვის არეალში მდებარე მიწის ნაკვეთებს.

შესაბამისად,

მოქალაქეთა განცხადებების იყოფა შემდეგ კატეგორიებად

პირველ კატეგორიაში შედის, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის ფიზიკური დაცვის არეალში მდებარე მიწის ნაკვეთები, რომელთაც მიმართაც ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საკუთრების უფლების აღიარების კომისიის 2010 წლის 03 დეკემბრის №39 საოქმო გადაწყვეტილება, გაცემული აღმჭურველი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების - საკუთრების უფლების მოწმობების საკუთრების უფლების მოწმობის გაუქმების შესახებ კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილება იყო კანონიერი და დასაბუთებული, თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ კანონმდებლობით ძეგლის დაცვის ზონის მანძილი განისაღზვრება (კულტურული მემკვიდრეობის შესახებ საქართველოს კანონის 36-ე მუხლი). ფაქტობრივი მდგომარეობით გაუქმების მომენტისათვის, დღემდე ძეგლის დაცვის ზონის მანძილია 100 მეტრი.

მეორე კატეგორიაში შედის, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის ვიზუალური დაცვის არეალში მდებარე მიწის ნაკვეთები, რომელთაც მიმართაც ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საკუთრების უფლების აღიარების კომისიის 2010 წლის 03 დეკემბრის №39 საოქმო გადაწყვეტილება, გაცემული აღმჭურველი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების - საკუთრების უფლების მოწმობების საკუთრების უფლების მოწმობის გაუქმების შესახებ კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილება იყო უკანონო და დაუსაბუთებული, აქვეა აღსანიშნი, რომ დღეის მდგომარეობით სააგენტოს პოზიცია 2014 წლის 22 დეკემბრის #15/09/1893 და მათივე 2010 წლის 8 ნოემბრის №8-1/931 წერილობითი პოზიცია ურთიერთსაწინააღმდეგოა. კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო თავისი კომპეტენციის ფარგლებში არ არის წინააღმდეგი მოხდეს ეროვნული მნიშვნელობის ძეგლის გონიოს ინდივიდუალური და არქეოლოგიური დაცვის ზონებში არსებულ უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლების აღიარება (აღდგენა). წერილის შესაბამისად საკუთრების მართვასთან და განკარგვასთან დაკავშირებული შემდგომი გართულებების თავიდან აცილების მიზნით აუცილებელად მიაჩნია ადმინისტრაციული ორგანოს მიერ საკუთრების უფლების აღიარებით დაინტერესებული პირის ინფორმირება შეზღუდვების შესახებ.

მესამე კატეგორიაში შედის, ის მიწის ნაკვეთები, რომლებიც არ შედის არც კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის ვიზუალური და

ანაგ ფიზიკური დაცვის ანგარიში

შესაბამისად ხელოვნაჩენის მოსახლეობის საკრებულოს საკუთრების უფლების აღიარების კომისიის 2010 წლის 03 დეკემბრის N39 სხდომის გადაწყვეტილება, გადაცემული აღმოჩენილი ამბადილეული ადმინისტრაციული-საზღვრისგარეთ ადგილის - საკუთრების უფლების მოწმობის საკუთრების უფლების მოწმობის გაუქმების შესახებ კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილება იყო უკანონო და დაუსაბუთებელი

აზრი გამოთქვა:

განსხვავებული მოსაზრება წარმოადგინა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსა და სხვებ „სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს" წარმომადგენელმა ნუგზარ ასანიძემ - ხელოვნაჩენის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საკუთრების უფლების აღიარების კომისიამ 2007-2010 წლებში მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული მიწის ნაკვეთები საკუთრების , უფლებით გადასცა ფიზიკურ პირებს, მიწის ნაკვეთების მართლზომიერ მფლობელებსა (მოსარგებლეებს) და თვითნებურად დამკავებელ პირებს. „ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების აღიარების შესახებ" საქართველოს კანონში განხორციელებული ცვლილების შედეგად, ამ კანონის მე-4[1] მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად, მართლზომიერ მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწაზე საკუთრების უფლების აღიარებაზეუფლებამოსილია საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირი–საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო (შემდგომში–სააგენტო), რომელიც აღნიშნულ უფლებამოსილებას ახორციელებს კანონით დადგენილი წესით.

აქედან გამომდინარე, იმ დაინტერესებულ პირებს, ვინც თავის დროზე წარმოადგენდნენ მიწის ნაკვეთის მართლზომიერ მფლობელებს (მოსარგებლეებს) და ვისაც გააუქმდათ საკუთრების უფლების დამადასტურებელი მოწმობები, შეუძლიათ მათი საკუთრების უფლების რეგისტრაციისათვის მიმართონ სხვებ „საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს" და მოითხოვონ რეგისტრაცია. აღნიშნულის გათვალისწინებით, მიზანშეწონილად მიგვაჩნია ასეთი კატეგორიის დანტერესებული პირების განცხადებები დარჩეს განუხილველად ან უარი ეთქვათ დაკმაყოფილებაზე, ვინაიდან მათ არ ესაჭიროებათ აღიარების კომისიის გადაწყვეტილება, მითუმეტეს აღიარების კომისიის კომპეტენციას უკვე სცილდება ასეთი საკუთრების განხილვა.

ხოლო, იმ დაინტერესებულ პირებს, ვინც თავის დროზე წარმოადგენდნენ მიწის ნაკვეთის თვითნებურად დამკავებელ

დამოწმებულია

პირებს და მათი მიწის ნაკვეთები მოქცეულია „გონიო-აფსაროსის არქიტექტურულ-არქეოლოგიური კომპლექსის არქეოლოგიური ზონისა და დაბა საყდრისში, სამთამადნო მრეწველობის ძეგლის არქეოლოგიური ზონის დადგენის შესახებ“ საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრისა და საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2006 წლის 17 ივლისის N3/225N1-1/616 ერთობლივი ბრძანებით დამტკიცებულ გონიო-აფსაროსის არქიტექტურულ-არქეოლოგიური კომპლექსის არქეოლოგიური ზონაში, „ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების აღიარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3მუხლის მე-2 პუნქტის ვ) და ნ) ქვეპუნქტების, მე-5¹ მუხლის მე-2 პუნქტის („თვითნებურად დაკავებული მიწაზე საკუთრების უფლების აღიარების შესახებ მოითხოვნის განხილვისას გათვალისწინებულ უნდა იქნეს მოთხოვნის შესაბამისობა სივრცით-ტერიტორიულ დაგეგმვის პირობებთან და მიწის განკარგვის სტრატეგიულ გეგმასთან“), სსიპ „კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს“ 2010 წლის 8 ნოემბრის N8-1/931 და 2014 წლის 22 დეკემბრის N15/09/1893 წერილების გათვალისწინებით, მიზანშეწონილად მიგვაჩნია, ეროვნული მნიშვნელობის ძეგლის გონიო-აფსაროსის ციხის ინდივიდუალური დაცვის ზონაში (ფიზიკური და ვიზუალური დაცვის არეალის ჩათვლით) უარი ეთქვათ საკუთრების უფლების აღდგენაზე, ხოლო ზოგადი დაცვის ზონაში (მოცემულ შემთხვევაში - არქეოლოგიური დაცვის ზონა) - ყველა კონკრეტული საკითხის განხილვის დროს, აღიარების კომისიის მიერ დაცული იქნას „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის 1-ლი პუნქტის მოთხოვნა, რომლის შესაბამისად სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ძეგლის, კულტურული ფასეულობის, არქეოლოგიური დაცვის ზონაში სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთების გასხვისება, ფლობისა და სარგებლობის უფლებით გადაცემა ხორციელდება საქართველოს კულტურის და ძეგლთა დაცვის სამინისტროსთან შეთანხმებით, მის მიერ წინასწარ განსაზღვრული მათი მოვლა პატრონობის პირობით, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით და ასევე გათვალისწინებული იქნას მოთხოვნის შესაბამისობა სივრცით-ტერიტორიულ დაგეგმვის პირობებთან და მიწის განკარგვის სტრატეგიულ გეგმასთან.

სხდომის თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საკუთრების უფლების აღიარების კომისიის 2010 წლის 3 დეკემბრის №39 საოქმო გადაწყვეტილება ნაწილობრივ ბათილად ცნობის საკითხი. აღმჭურველი

ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების საკუთრების უფლების მოწმობის გაუქმების შესახებ
მომხრე - 6
მოწინააღმდეგე -1

გადაწყვიტეს:

1. ნაწილობრივ იქნას ცნობილი ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საკუთრების უფლების აღიარების კომისიის 2010 წლის 3 დეკემბრის №39 საოქმო გადაწყვეტილება, გაცემული ადმჟურველი ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების - საკუთრების უფლების მოწმობის გაუქმების შესახებ.
2. ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საკუთრების უფლების აღიარების კომისიის 2010 წლის 3 დეკემბრის №39 საოქმო გადაწყვეტილება ბათილად ცნობის თაობაზე ძალაში დარჩეს იმ საკუთრების უფლების მოწმობების მიმართ, რომლებიც ტერიტორიულად მოხვედრილნი არიან კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის გონიოს ციხის ფიზიკური დაცვის არეალში და დღეის მდგომარეობით საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში აჭარის ა/რ რესპუბლიკის საკუთრებად (ს/კ 05,36,23,164);
3. ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საკუთრების უფლების აღიარების კომისიის 2010 წლის 3 დეკემბრის №39 საოქმო გადაწყვეტილება ბათილად ცნობის თაობაზე ძალაში დარჩეს იმ საკუთრების უფლების მოწმობების მიმართ, რომელთა მიმართაც არსებობს კანონიერ ძალში შესული სასამართლო გადაწყვეტილება;
4. ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საკუთრების უფლების აღიარების კომისიის 2010 წლის 3 დეკემბრის №39 საოქმო გადაწყვეტილება ბათილად ცნობის თაობაზე ძალაში დარჩეს იმ საკუთრების უფლების მოწმობების მიმართ, რომლებიც გაცემული იყო მიწის ნაკვეთის მართლზომიერ მფლობელებზე (მოსარგებლეებზე).
5. მე-4 პუნქტით გათვალისწინებული მიწის ნაკვეთის მოსარგებლე პირებმა საკუთრების უფლების რეგისტრაციისათვის მიმართონ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს შესაბამისი საკუთრების უფლების დამდგენი დოკუმენტაციით.
6. აღნიშნული გადაწყვეტილება გაეგზავნოს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს და ეთხოვოს შესაბამისი რეგისტრაციების განხორციელება.
7. კომისიის მიერ მიღებული წინამდებარე გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქუჩა #30) მისი